

ევრო-პალასი-გონიო
ფინანსური ანგარიშგება
01.01.2023 – 31.12.2023

ბათუმი
29.09.2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრო-პალასი - გონიო“ რეგისტრირებულია საქართველოში ქალაქი ბათუმი აკაკი წერეთლის N32, კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია შპს „ევრომშენი“, კომპანიას მართავს დირექტორი მერაბ მოსიძე 61005005179.

კომპანიის საქმიანობის სფეროა სამშენებლოება, იგი აშენებს მრავალსართულიან სახლს. კომპლექსი სადაც განლაგებულია საცხოვრებელი და კომერციული ფართები, აუზითა და მიწისქვეშა ავტო სადგომით.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

2022 წელს კომპანიაში დაიწყო და დასრულდა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ბრძანების საფუძველზე გასვლითი აუდიტორული შემოწმება. შემოწმების შედეგები მიუხედავად იმისა რომ კომპანიამ ასახა იმავე წლის მოგება-ზარალისა და ფინანსურ მონაცემებში, მისი გასაჩივრებისა და საბოლოო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება განხორციელდა 2023 წელს რაც ასევე აისახა ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებად აღრიცხავს სამშენებლო საქმიანობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთს, ცალკეულ ინსტრუმენტებს, მექანიკურ მოწყობილობებს, საოფისე ინვენტარსა და ავეჯს, რასაც ერიცხება ამორტიზაცია მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად და შეადგენს 519,363 ლარს. ვინაიდან კომპანიამ დაასრულა სამშენებლო არსებული სამშენებლო საქმიანობა, მოახდინა ძირითადი საშუალებების გადაფასება და ინვენტარის ის ნაწილი რაც დაზიანდა მშენებლობის პროცესში და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუდგარი იყო მოახდინა მისი რეალიზება (ჯარითისა და მეორადი გამოყენების - შეშის სახით)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

2023 წლის ბოლოსათვის კომპანიამ დაასრულა მიწის შესაძენად 2021 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება და შემდგომი მშენებლობისათვის შეიძინა მიწა.

მარაგები

კომპანიამ საკუთარი საქმიანობის მიზნებისათვის 2016-2017 წლებში შეიძინა მიწის ნაკვეთი ქ. ბათუმი ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N39, შეასრულა მოსამზადებელი სამუშაოები და 2018 წელს დაიწყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიას დაასრულებული აქვს სამშენებლო სამუშაოები, მარაგის სახით მას საბალანსო ანგარიშზე ერიცხება სარეალიზაციოდ გამზადებული

ბინების ნაწილი (ნარჩენი რაოდენობა) 606,2 მ2 / 16 ერთეული და 612 მ2 / 1 ერთეული კომერციული ფართი რაც თვითღირებულებით შეადგენს 494.430 ლარს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე კომპანია გაყიდვებისათვის იყენებს როგორც წინასწარი ასევე შემდგომი გადახდის მეთოდებს, მოქმედებს შიდა უპროცენტო გადახდის განვადებითი მეთოდიც. კომპანია ნასყიდობის ხელშეკრულებისა და წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არეგისტრირებს მესაკუთრეებს და მომავალ მესაკუთრეებს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისაღვის კომპანიას სავაჭრო მოთხოვნა შედგება მოღებული საავანსო თანხებისათვის გადახდილი დღგ-ს სახით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიას წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებების მოქმედების ფარგლებში მიღებული აქვს საავანსო თანხები რაც აღირიცხება საბალანსო ანგარიშების ვალდებულებების ნაწილში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ერიცხება საბანკო ვალდებულება 809.060 ლარი აშშ დოლარის პირობითი ერთეულით რომელსაც კომპანია იხდის პროკრედიტ ბანკში 7% და სს თი ბი სი ბანკში 8% განაკვეთით.

ამონაგები

ამონაგები ფართის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს მიეწოდება ფართი და გადაეცემა საკუთრების უფლება. კომპანია სარეალიზაციო ფასის შეთავაზებას განახორციელებს ეროვნულ ვალუტაში თუმცა სახელშეკრულებო ღირებულებები განისაზღვრება აშშ დოლარის პირობით ერთეულში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავანსის გადაფასება არ ხდება აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ფინანსურ აღრიცხვაზე საკუთროს სხვაობები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. საანგარიშგებო პერიოდის ამონაგებს შეადგენს 2.186.373 ლარს

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული ფინანსური განაცემი არ განუხორციელებია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის, წარსადგენი საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. პროექტის მიხედვით დარუღდა მშენებლობის ნაწილი და მიმდინარე თარიღისათვის კომპანია ყიდის ნაშთად დარჩენილ ბინებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6610	6190
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	141945	136044
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	2074126
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	494430	3829273
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	3248354	519363
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	3891339	6564996
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	962827	2056913
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	37604	0
საგადასახადო ვალდებულებები	9473	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	809060	581188
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	7872	0
სულ ვალდებულებები	1826836	2638101
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1179520	858862
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	884983	3068033
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2064503	3926895
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3891339	6564996
სულ მოკლევადიანი აქტივები	3867539	6564996
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1826836	2638101

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	2186373	2097534
საქონლის გაყიდვიდან	2186373	2097534
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-4233782	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	-2047409	2097534
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	661
დასაქმებულთა ანაზღაურება	-113905	-318683
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-18015	-26586
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-17950	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1408699	-485070
სულ საოპერაციო ხარჯები	-1558569	-829678
საოპერაციო მოგება	-3605978	1267856
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	151823	-20499
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-3454155	1247357
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-3454155	1247357
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-3454155	1247357
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	3926895	1912261
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1179520	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	412243	767277
	2064503	3926895

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1246479	2799213
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1754646	1689892
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-3000705	-4495806
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	420	-6701
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6190	12891
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6610	6190

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი: მერაბ მოსიძე

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე

